

## ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს

---

ძვირფასო სტუდენტებო,

მეორე საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში დაიწყება 29 იანვარს და დასრულდება 3 თებერვალს. კონფერენცია ეყრდნობა გასული წლის გამოცდილებას. სწორედ ამიტომ კონფერენციის ვებ გვერდის ცნობარში კონფერენციის ჩატარებასთან დაკავშირებით 2012 წლის ფაკულტეტის საჭოს დადგენილებებიც არის განთავსებული.

29–31 იანვარი განკუთვნილია სექციური მოხსენებებისთვის დეპარტამენტების შესაბამისად, ხოლო 3 თებერვალი განკუთვნილია პლენარული სხდომებისთვის.

კონფერენცია მრავალმხრივ საინტერესოა სტუდენტებისთვის.

თქვენ შესაძლებლობა გეძლევათ გაეცნოთ თქვენი პროფესორების კვლევით საქმიანობას, რისთვისაც საკმარისია კონფერენციის სხდომებზე დასწრება და მოხსენებების მოსმენა.

თქვენ შესაძლებლობა გაქვთ გააკეთოთ სამეცნიერო მოხსენება და ამით უფროს თაობასთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღოთ კონფერენციის მუშაობაში. თქვენი ასეთი აქტიურობა სათანადოდ დაფასდება. მოხსენებები შეფასდება სპეციალური კომისიის მიერ. ბაკალავრიატის სტუდენტებს გაკეთებული მოხსენება სასტიპენდიო კონკურსში დაეხმარებათ, ხოლო დოქტორანტურის სტუდენტებს კი დოქტორანტურის სასწავლო/კვლევითი კომპონენტის მოთხოვნების შესასრულებლად.

გამორჩეული მოხსენებები განხილული იქნება ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ სტუდენტთა ყოველწლიურ სამეცნიერო ფორუმში მონაწილეთა შესარჩევი კონკურსისთვის. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის რექტორის 25.11.2013 N151/01-01 ბრძანებით განსაზღვრულია ფაკულტეტიდან სამი მოხსენების შერჩევა, რომელსაც შესაბამისად ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტი გააკეთებს.

საფაკულტეტო კონფერენციის მუშაობაში თქვენი აქტიური ჩართულობა გაამდიდრებს თქვენს თვალსაწიერს და საშუალებას მოგცემთ საკუთარი თავი წარმოაჩინოთ თქვენი მეგობრების და მასწავლებლების წინაშე. გისურვებთ წარმატებას!

პატივისცემით,

რამაზ ბოჭორიშვილი,

საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, პროფესორი,  
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი